# სახელმწიფო ვალი

სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენს 10,394.48 მილიონ ლარს, რაც მთლიანი სახელმწიფო ვალის 78%-ია. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან ქვეყნისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისგან - პორტფელის საკონტრაქტო შეწონილი ვადიანობა შეადგენს 21.2 წელს, საშუალო შეწონილი დარჩენილი ვადიანობა შეადგენს დაახლოებით 9.9 წელს, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 2.01%-ს.

### სახელმწიფო ვალის სტრუქტურა 2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით




2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის 71% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ დონეზე. სახელმწიფო საგარეო ვალის 44% SDR-შია დენომინირებული (ნასესხობის სპეციალური უფლება) მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და აზიის განვითარების ბანკის ფინანსური რესურსების დიდი წილის გამო.

### საპროცენტო განაკვეთის ტიპი




### სავალუტო სტრუქტურა



# სახელმწიფო საგარეო ვალის სტრუქტურა - 2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

| კრედიტორი | კრედიტის ვალუტა | ნაშთი(ათასი) | | საპროცენტო განაკვეთი | საპროცენტო განაკვეთი 30.09.2016 | შეწონილი საპროცენტო განაკვეთი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | აშშ დოლარში | ლარში | | | |
| *სახელმწიფო საგარეო ვალი* | | *4,461,727* | *10,394,485* | | | |
| **მრავალმხრივი კრედიტორები** | | **3,190,590** | **7,433,118** | | | |
| განვითარების საერთაშორისო ასოციაცია(WB - IDA) | SDR | 930,482 | 2,167,743 | 0.75% | 0.75% | 0.156% |
| | | 266,124 | 619,989 | 2.00% | 2.00% | 0.119% |
| | | 9,556 | 22,262 | 2.15% | 2.15% | 0.005% |
| განვითარების საერთაშორისო ასოციაცია(WB - IBRD) | USD | 197,961 | 461,190 | LIBOR + Variable Spread | 1.19% | 0.053% |
| | | 52,384 | 122,038 | | 1.39% | 0.016% |
| | | 33,022 | 76,932 | | 1.47% | 0.011% |
| | | 11,156 | 25,991 | | 1.48% | 0.004% |
| | | 93,978 | 218,941 | | 1.51% | 0.032% |
| | | 112,823 | 262,843 | | 1.59% | 0.040% |
| | | 350 | 815 | | 1.75% | 0.000% |
| | | 120,023 | 279,616 | | 1.77% | 0.048% |
| | | 5,150 | 11,998 | | 1.81% | 0.002% |
| | | 32,336 | 75,332 | | 1.86% | 0.013% |
| | | 700 | 1,631 | | 2.16% | 0.000% |
| სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) | SDR | 20,739 | 48,316 | 0.75% | 0.75% | 0.003% |
| | | 1,507 | 3,511 | 2.00% | 2.00% | 0.001% |
| | | 5,449 | 12,695 | (SDR LIBOR + IBRD Variable Spread)/2 | 0.67% | 0.001% |
| საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF PRGF,NBG) | SDR | 7,817 | 18,210 | 0.00% | 0.00% | 0.000% |
| საერთაშორისო სავალუტო ფონდი (SBA ) | SDR | 111,665 | 260,146 | SDR Rate of Charge | 1.05% | 0.026% |
| ევროგაერთიანება (EU) | EUR | 11,217 | 26,132 | 0.52% | 0.52% | 0.001% |
| ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD) | EUR | 89,622 | 208,792 | EURIBOR+ 1% | 0.80% | 0.016% |
| აზიის განვითარების ბანკი (ADB) | SDR | 65,434 | 152,442 | Fix | 1.00% | 0.015% |
| | | 365,730 | 852,041 | | 1.50% | 0.123% |
| | | 53,640 | 124,964 | | 1.60% | 0.019% |
| | | 128,783 | 300,027 | | 2.00% | 0.058% |
| | EUR | 22,312 | 51,980 | EURIBOR + Fixed Spread | 0.00% | 0.000% |
| | USD | 16,000 | 37,275 | LIBOR + Fixed Spread | 1.30% | 0.005% |
| | | 34,842 | 81,170 | | 1.31% | 0.010% |
| | | 75,000 | 174,728 | | 1.48% | 0.025% |
| | | 36,469 | 84,961 | | 1.51% | 0.012% |
| | | 10,930 | 25,463 | | 1.57% | 0.004% |
| | | 17,974 | 41,875 | | 1.73% | 0.007% |
| | | 2,083 | 4,854 | | 1.88% | 0.001% |
| ევროპის საინვესტიციო ბანკი(EIB) | EUR | 9,368 | 21,825 | Fix | 0.86% | 0.002% |
| | | 11,217 | 26,132 | | 1.65% | 0.004% |
| | | 26,052 | 60,694 | | 1.69% | 0.010% |
| | | 22,434 | 52,264 | | 1.94% | 0.010% |
| | | 100,836 | 234,917 | EURIBOR+0.75% | 0.61% | 0.014% |
| | | 6,948 | 16,187 | EURIBOR + 0.81% | 0.64% | 0.001% |
| | | 44,680 | 104,090 | EURIBOR + 0.82% | 0.65% | 0.007% |
| | | 22,434 | 52,264 | EURIBOR + 0.505% | 0.51% | 0.003% |
| | | 3,365 | 7,840 | EURIBOR + 0.858% | 0.86% | 0.001% |
| **ორმხრივი კრედიტორები** | | **768,992** | **1,791,520** | | | |
| ავსტრია | EUR | 12,260 | 28,562 | 1.00% | 1.00% | 0.003% |
| აზერბაიჯანი | USD | 9,937 | 23,150 | 3.00% | 3.00% | 0.007% |
| თურქმენეთი | USD | 211 | 492 | 4.00% | 4.00% | 0.000% |
| თურქეთი | USD | 19,016 | 44,302 | 3.00% | 3.00% | 0.013% |
| ირანი | USD | 7,728 | 18,004 | 3.00% | 3.00% | 0.005% |
| რუსეთი | USD | 80,813 | 188,269 | 4.00% | 4.00% | 0.072% |
| სომხეთი | USD | 11,596 | 27,016 | 3.00% | 3.00% | 0.008% |
| უზბეკეთი | USD | 228 | 531 | 3.00% | 3.00% | 0.000% |
| უკრაინა | USD | 208 | 485 | 3.00% | 3.00% | 0.000% |
| ყაზახეთი | USD | 27,774 | 64,705 | 4.00% | 4.00% | 0.025% |
| ჩინეთი | CNY | 2,701 | 6,292 | 0.00% | 0.00% | 0.000% |
| გერმანია (KfW) | EUR | 139,949 | 326,039 | 0.75% | 0.75% | 0.024% |
| | | 41,264 | 96,132 | 2.00% | 2.00% | 0.018% |
| | | 65,008 | 151,448 | 5.96% | 5.96% | 0.087% |
| | | 7,639 | 17,796 | 4.20% | 4.20% | 0.007% |
| | | 18,479 | 43,050 | 2.20% | 2.20% | 0.009% |
| | | 1,387 | 3,231 | 1.65% | 1.65% | 0.001% |
| | | 101 | 235 | 1.90% | 1.90% | 0.000% |
| იაპონია | JPY | 29,450 | 68,609 | 2.30% | 2.30% | 0.015% |
| | | 22,459 | 52,324 | 0.01% | 0.01% | 0.000% |
| | | 151,985 | 354,081 | 0.65% | 0.65% | 0.022% |
| | | 2,346 | 5,465 | 1.30% | 1.30% | 0.001% |
| კუვეიტი | KWD | 14,702 | 34,251 | 3.00% | 3.00% | 0.010% |
| ნიდერლანდები | EUR | 187 | 435 | 4.20% | 4.20% | 0.000% |
| | | 1,064 | 2,478 | 5.10% | 5.10% | 0.001% |
| აშშ | USD | 6,879 | 16,027 | 2.25% | 2.25% | 0.003% |
| | | 421 | 981 | 1.50% | 1.50% | 0.000% |
| | | 9,189 | 21,407 | 2.50% | 2.50% | 0.005% |
| | | 10,046 | 23,405 | 2.00% | 2.00% | 0.005% |
| საფრანგეთი | EUR | 24,088 | 56,119 | 1.10% | 1.10% | 0.006% |
| | | 9,131 | 21,273 | 1.41% | 1.41% | 0.003% |
| | | 5,855 | 13,641 | 0.17% | 0.17% | 0.000% |
| | | 8,375 | 19,511 | EURIBOR + 2.1% | 2.10% | 0.004% |
| | | 3,975 | 9,260 | EURIBOR + 2.2% | 2.20% | 0.002% |
| | | 22,541 | 52,515 | EURIBOR + 1.8% | 1.80% | 0.009% |
| **ფასიანი ქაღალდები** | | **500,000** | **1,164,850** | | | |
| ევროობლიგაცია 2021 | USD | 500,000 | 1,164,850 | 6.875% | 6.875% | 0.770% |
| **გარანტირებული კრედიტები** | | **2,145** | **4,997** | | | |
| გერმანია (KfW) | EUR | 2,145 | 4,997 | 0.75% | 0.75% | 0.000% |
| | | საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი | | | | **2.01%** |

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან იანვარ-სექტემბერში დაიხარჯა 346,562.55 ათასი ლარი, მათ შორის - 221,282.07 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 125,280.49 ათასი ლარი პროცენტის თანხას.

## სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2016 წლის იანვარ-სექტემბერში

ათასი ლარი

| კრედიტორები | ვალების დაფარვა | პროცენტი | სულ 2016 I-IX |
|---|---|---|---|
| | *221,282.07* | *125,280.49* | *346,562.55* |
| *ავსტრია* | | 211.14 | 211.14 |
| *კუვეიტი* | 3,230.85 | 951.37 | 4,182.23 |
| *იაპონია* | 6,166.98 | 3,680.39 | 9,847.38 |
| *გერმანია* | 19,839.30 | 8,217.26 | 28,056.57 |
| *აშშ* | 1,909.28 | 409.10 | 2,318.38 |
| *სომხეთი* | 1,988.03 | 712.10 | 2,700.13 |
| *აზერბაიჯანი* | 1,790.11 | 681.59 | 2,471.70 |
| *ირანი* | 1,375.09 | 513.41 | 1,888.50 |
| *ნიდერლანდები* | 188.27 | 83.98 | 272.24 |
| *რუსეთი* | 14,098.30 | 6,920.55 | 21,018.84 |
| *თურქეთი* | 3,437.65 | 1,434.90 | 4,872.55 |
| *უკრაინა* | 30.05 | 7.45 | 37.50 |
| *უზბეკეთი* | 32.90 | 8.14 | 41.04 |
| *საფრანგეთი* | 15,107.99 | 1,967.66 | 17,075.65 |
| *ჩინეთი* | 1,033.50 | - | 1,033.50 |
| **IDA** | 83,699.65 | 23,880.61 | 107,580.26 |
| **IBRD** | 26,095.91 | 13,095.45 | 39,191.36 |
| **IFAD** | 2,521.77 | 503.86 | 3,025.63 |
| **EBRD** | 15,463.68 | 1,788.33 | 17,252.01 |
| **EIB** | 3,448.59 | 4,040.45 | 7,489.04 |
| **ADB** | 19,824.17 | 14,343.40 | 34,167.56 |
| **IMF** | | 2,076.76 | 2,076.76 |
| **EU** | | 131.95 | 131.95 |
| *ევრობონდები* | | 39,620.63 | 39,620.63 |

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს 12 თვიანი სახაზინო ვალდებულებების და 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების ემისიას. 2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ბოლო აუქციონებზე დაფიქსირებულმა საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთებმა შეადგინა: 12 თვიანზე - 6.5%, 2 წლიანზე - 6.9%, 5 წლიანზე - 7.6%, 10 წლიანზე - 9.6%.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების შედეგად საშინაო ვალის ნაშთმა 2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენა 2 338.2 მილიონ ლარი (სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში - 2 375.3 მლნ ლარი), აქედან 1 828.4 მილიონი ლარი წარმოადგენს ნაშთს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ნაწილში, ხოლო 509.8 მილიონი ლარი - „სახელმწიფო ობლიგაციები სებ-სთვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის“ ნაწილში.

**სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში ვადის და ტიპის მიხედვით 2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით**

*ათასი ლარი*

| სულ | **2,375,266** |
|---|---|
| **სახაზინო ფასიანი ქაღალდები** | **1,865,420** |
| 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები | 560,000 |
| 2 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები | 525,898 |
| 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები | 614,522 |
| 10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები | 165,000 |
| **სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები** | **509,846** |
| სახელმწიფო ობლიგაცია სებ-სთვის | 360,846 |
| სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის | 149,000 |

2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, საშინაო ვალდებულებების კლებამ შეადგინა 693,244.3 ათასი ლარი, მათ შორის სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვა - 665,244.3 ათასი ლარის ოდენობით და სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას (სებ-ის მიმართ ვალი) - 28,000.0 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 15 მაისის „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად.

2016 წლის 3 კვარტლის განმავლობაში სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად საშინაო ვალდებულებების ზრდამ შეადგინა 876,224.2 ათასი ლარი, შესაბამისად სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად საშინაო ვალდებულებების ცვლილება (წმინდა ზრდა/კლება) შეადგენს 210,979.9 ათას ლარს.

# სახელმწიფო ვალის მოცულობა 2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

*ათასი ლარი*

| კრედიტორი | | ნაშთი 30.09.2016 ათას ლარებში |
|---|---|---|
| **სულ სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფოს გარანტიით აღებული საგარეო კრედიტების მოცულობა** | | **10,394,485** |
| **მრავალმხრივი კრედიტორებისაგან** | | **7,414,908** |
| 1 | მსოფლიო ბანკი (WB) | 4,347,322 |
| 2 | სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) | 64,523 |
| 3 | საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) | 260,146 |
| 4 | ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) | 208,792 |
| 5 | აზიის განვითარების ბანკი (ADB) | 1,931,781 |
| 6 | ევროგაერთიანება (EU) | 26,132 |
| 7 | ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) | 576,212 |
| **ორმხრივი კრედიტორებისაგან** | | **1,791,520** |
| 1 | ავსტრია | 28,562 |
| 2 | აზერბაიჯანი | 23,150 |
| 3 | თურქმენეთი | 492 |
| 4 | თურქეთი | 44,302 |
| 5 | ირანი | 18,004 |
| 6 | რუსეთი | 188,269 |
| 7 | სომხეთი | 27,016 |
| 8 | უზბეკეთი | 531 |
| 9 | უკრაინა | 485 |
| 10 | ყაზახეთი | 64,705 |
| 11 | ჩინეთი | 6,292 |
| 12 | გერმანია | 637,931 |
| 13 | იაპონია | 480,479 |
| 14 | კუვეიტი | 34,251 |
| 15 | ნიდერლანდები | 2,913 |
| 16 | ამერიკა | 61,819 |
| 17 | საფრანგეთი | 172,319 |
| **სხვა საგარეო ვალდებულებები** | | **1,164,850** |
| 1 | ევრობონდები | 1,164,850 |
| **სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტები** | | **4,997** |
| 1 | გერმანია | 4,997 |
| **საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ეროვნული ბანკი)** | | **18,210** |
| **საშინაო ვალის მოცულობა** | | **3,010,574** |
| 1 | ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია | 360,846 |
| 2 | სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის | 149,000 |
| 3 | ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები | 516,072 |
| 4 | ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები | 1,312,331 |
| 5 | ისტორიული ვალი * | 672,325 |
| **სულ სახელმწიფო ვალის მოცულობა** | | **13,405,059** |

*შენიშვნა: ცხრილში გამოყენებულია სავალუტო კურსები მოცემული თარიღისათვის;*

- *ე. წ. „ისტორიული ვალის“ მოცულობა საორიენტაციოა, ვინაიდან ამ კატეგორიის უმეტესი ნაწილი დასაზუსტებელია*